

# საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნიკით აღჭურვა

ანალიტიკური ბიულეტენი  
2024 წელი, იანვარი  
CCIIR



# შინაარსი

მიგნებები

ინფრასტრუქტურა, როგორც პრიორიტეტი

მონაცემთა შეგროვება

სასკოლო ინფრასტრუქტურა

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები

კომპიუტერი, პრინტერი, ინტერნეტი



# მიგნებები

## სასკოლო ინფრასტრუქტურა


- დღევანდელი მდგომარეობით, სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა საჭიროებს მშენებლობას, რეაბილიტაციას ან რემონტს. ამჟამად 1561 სკოლის შესახებ მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოს სკოლების 59% საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას, ახალი სკოლის მშენებლობას ან რემონტს;
- სკოლების 28% არის ახლად აშენებული, გარემონტებული ან რეაბილიტირებული;
- სკოლების 9%-ში დაგეგმილია რემონტი, რეაბილიტაცია, მშენებლობა;
- სკოლების 4%-ში ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა, რემონტი და რეაბილიტაცია;
- რეაბილიტირებული ან გარემონტებული სკოლების ხვედრითი წილი მაღალია თბილისში (51%), ხოლო ძალიან დაბალია სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (11-12%).



# მიგნებები

## სასკოლო ინფრასტრუქტურა


- სასკოლო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ან დაგეგმილი რეაბილიტაციის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი და თბილისი; დაბალია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ხვედრითი წილი აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმსა და კახეთში;
- სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ვადები მუდმივად იწევს. სასკოლო ინფრასტრუქტურის სრულად გამართვა დაგეგმილი იყო 2023 წლის ბოლოსთვის, ამ ვადაში გადაიწია ჯერ 2026 წლისთვის, ხოლო შემდგომ 2027 წლის ბოლოსთვის;
- 2027 წელს, საქართველოს მთავრობის გეგმით, უნდა დასრულდეს სკოლების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რემონტის პროცესი და ამით, საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული პრობლემები საბოლოოდ გადაიჭრას. სკოლების დღევანდელი ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე მიმდინარე და 2024-2025 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სასკოლო პროექტების შესახებ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, 2025-2027 წლებში ასაშენებელი, გასარემონტებელი ან სარეაბილიტაციო იქნება 1250-მდე სკოლა, რათა რეალურად შესრულდეს მთავრობის გეგმა და სრულად გადაიჭრას ამ ეტაპისთვის სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემები.



# მიგნებები

## საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები

- მხოლოდ სკოლების 31% აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია;
- სკოლების 64% არ გააჩნია არანაირი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხოლო დარჩენილ ნაწილს აქვს ან ვირტუალური/კომპიუტერული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ან მოძველებული ლაბორატორიები, რომელთა რეალური გამოყენება ვერ ხერხდება;
- თბილისში სკოლების დაახლოებით 80%-ს გააჩნია რაიმე სახის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მაშინ როცა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონების 87%-მდე სკოლებს არ გააჩნია არც ახალი, არც მოძველებული და არც ვირტუალური ლაბორატორია;



# მიგნებები

## საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები

- ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით რეალური ლაბორატორიების ჩანაცვლების შესაძლებლობა გამოყენებულია მხოლოდ ორ - სამეგრელო-ზემო სვანეთისა (სკოლების 19%) და კახეთის (სკოლების 13%) რეგიონებში, ხოლო სხვა რეგიონების სკოლები ვირტუალური ლაბორატორიის შესაძლებლობებით არ სარგებლობენ, ერთეული სკოლების გარდა;
- დიდი ქალაქების (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი) სკოლების 50%-ს აქვს სასკოლო ლაბორატორია;
- ქალაქებიდან გამოირჩევა ბათუმი, რომლის 27 სკოლიდან 26 სკოლაში არის ლაბორატორია. შედარებით ცუდი ვითარებაა რუსთავში, სადაც 26 სკოლიდან მხოლოდ 8 სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.



# მიგნებები

კომპიუტერი, პრინტერი, ინტერნეტი

- მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სკოლების 87%-ს აქვს კომპიუტერები და პრინტერები;
- სკოლების 90%-მდე მიუთითებს, რომ აქვთ ინტერნეტი, თუმცა გადამოწმებისას პირად კომუნიკაციაში აღნიშნავენ, რომ არსებული ინტერნეტი, დაბალი ხარისხის გამო რთულად გამოიყენება რეალურად სწავლებისა და მართვის პროცესში და, ფაქტობრივად, ფორმალურად არის სკოლების ნაწილში;
- კომპიუტერის, პრინტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემები იკვეთება ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, დმანისის, სიღნაღის, ჭიათურის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ზოგიერთ სკოლაში.

# სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორც მთავრობის პრიორიტეტი

2022 წელი,  
მ. ჩხენკელი

“ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი კი 2024 წელს გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება” (1tv.ge).

2019 წლის სექტემბერი,  
მ. ბატიაშვილი

“ჩვენი გათვლებით...სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემები 2023 წლისთვის სრულად უნდა გადაიჭრას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სკოლები უზრუნველყოფილი იქნება დასავლური სტანდარტების შესაბამისად, აღიჭურვება თანამედროვე ტექნოლოგიებით და ყველა იმ ლაბორატორიით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლებას“ (bpi.ge).

2023 წელი  
გ. ამილახვარი

“ახლა 250 სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ორ წელიწადში დასრულდება და 2025 წელს გამოცხადდება უკვე მეორე ფაზა. 2027 წელს ჩვენ დაგეგმილი გვაქვს 800 სკოლის პროექტის დასრულება და ამით, საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული პრობლემების საბოლოოდ გადაჭრა” (Imedinews.ge)






# მონაცემების შეგროვება

მონაცემები შეგროვდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით;

2023 წლის ივნისიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ გასცემს საჯარო ინფორმაციას CCIIR-ზე. 2023 წელის დეკემბრიდან, სამინისტრომ ორჯერ მოგვაწოდა მოთხოვნილის ნაცვლად შეჯამებული, მცირე მონაცემი, რომელიც ფორმალურად პასუხს წარმოადგენს - მისი დამუშავება და ანალიზი შეუძლებელია;

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნაზე ფორმალური რეაგირება მოახდინა, რეალურად არ მოგვაწოდა ინფორმაცია;

შესაბამისად, ინფორმაცია მივიღეთ მუნიციპალიტეტებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მეშვეობით, სკოლების სახელწოდების, საიდენტიფიკაციო კოდის, შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობისა და ტექნიკური აღჭურვის მითითებით.



# მონაცემების შეგროვება

მონაცემები არ მოგვაწოდეს შემდეგმა მუნიციპალიტეტებმა/რესურსცენტრებმა:

გორის, მარნეულის, ზესტაფონის, ბოლნისის, სამტრედიის, კასპის, ქარელის, ახალციხის, ახმეტის, ყვარლის, წალენჯიხის, ხულოს, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებმა, თბილისის მერიამ და მის ტერიტორიაზე განლაგებულმა ვაკე-საბურთალოსა და ისანი-სამგორის რესურსცენტრებმა;

2086 საჯარო სკოლიდან 1561 საჯარო სკოლის შესახებ მივიღეთ ინფორმაცია, რაც სკოლების 75%-ზე მეტს წარმოადგენს.



# სასკოლო ინფრასტრუქტურა


სკოლების შენობების მდგომარეობა შემდეგ კატეგორიებად დავაჯგუფეთ:

- 1) სარეაბილიტაციო/სარემონტო/ასაშენებელი;
- 2) გარემონტებული/რეაბილიტირებული/სრულიად რეაბილიტირებული;
- 3) ნაწილობრივ გარემონტებული/გასარემონტებელი/ნაწილობრივ სარეაბილიტაციო;
- 4) ახალი აშენებული;
- 5) დაგეგმილი რემონტი/მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- 6) მიმდინარეობს მშენებლობა /რეაბილიტაცია/რემონტი.

1561 სკოლის/კორპუსების შესახებ მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოს სკოლების 59% საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას ან რემონტს, სკოლების 28% განლავთ ახლად აშენებული, გარემონტებული ან რეაბილიტირებული, სკოლების 9%-ში დაგეგმილია რემონტი, რეაბილიტაცია, მშენებლობა, ხოლო სკოლების 4%-ში ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა, რემონტი და რეაბილიტაცია (იხ. გრაფიკი #1).

ამ მონაცემების შესაბამისად, 2025-2027 წლებში, როცა უკვე უნდა დასრულდეს სკოლების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რემონტის პროცესი, ასაშენებელი, გასარემონტებელი ან სარეაბილიტაციო იქნება 1250-მდე სკოლა.

გრაფიკი #1. სასკოლო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა




- სარეაბილიტაციო/სარემონტო/ასაშენებელი
- გარემონტებული/რეაბილიტირებული/სრულიად რეაბილიტირებული
- ნაწილობრივ გარემონტებული/გასარემონტებელი/ნაწილობრივი სარეაბილიტაციო
- ახალი აშენებული
- დაგეგმილი რემონტი/მშენებლობა/რეაბილიტაცია
- მიმდინარეობს მშენებლობა /რეაბილიტაცია/რემონტი



# სასკოლო ინფრასტრუქტურა

არსებული მდგომარეობა განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. მაგალითად, სკოლების საერთო რაოდენობაში რეაბილიტირებული ან გარემონტებული სკოლების ხვედრითი წილი მაღალია თბილისში (51%), ხოლო ძალიან დაბალია სამეგრელო - ზემო სვანეთის, გურიის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (11-12%) რეგიონებში. დეტალები წარმოდგენილია #2 გრაფიკში.

გრაფიკი #2. გარემონტებული/რეაბილიტირებული/სრულიად რეაბილიტირებული







# სასკოლო ინფრასტრუქტურა

დაგეგმილი და მიმდინარე სასკოლო ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისითაც განსხვავებებია რეგიონების მიხედვით. რეგიონში არსებულ სკოლებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი და თბილისი, სადაც მიმდინარეობს ან დაგეგმილია სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება. დაბალია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ხვედრითი წილი აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმსა და კახეთში (გრაფიკი #3).


გრაფიკი #3. რეგიონებში სკოლების ხვედრითი წილი, სადაც მიმდინარეობს ან დაგეგმილია ინფრასტრუქტურული პროექტი



რეგიონების მიხედვით არსებული განსხვავებები, სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ჩვენ მიერ კლასიფიცირებული ექვსი კატეგორიის შესაბამისად, #4 გრაფიკშია წარმოდგენილი.




გრაფიკი #4. სკოლის შენობების მდგომარეობა რეგიონებში 6 კატეგორიის მიხედვით




# საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები

საჯარო სკოლებიდან, რომლებმაც ინფორმაცია მოგვაწოდეს (1450 საჯარო სკოლა), 31%-ს აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სკოლების 64%-ს არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხოლო დარჩენილ ნაწილს აქვს ან ვირტუალური / კომპიუტერული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ან მოძველებული ლაბორატორიები, რომელთა რეალური გამოყენება ვერ ხერხდება (გრაფიკი #5).

გრაფიკი #5








# საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები


თბილისის სკოლების (3 რესურსცენტრის მონაცემებზე დაფუძნებით) გაცილებით დიდ პროცენტში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სხვა რეგიონებთან შედარებით;

თბილისში სკოლების დაახლოებით 80%-ს აქვს რაიმე სახის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მაშინ, როცა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონების 87 %-მდე სკოლებს არ გააჩნია არც ახალი, არც მოძველებული და არც ვირტუალური ლაბორატორია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ #6 გრაფიკში;

ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით რეალური ლაბორატორიების ჩანაცვლების შესაძლებლობა გამოყენებულია მხოლოდ ორ - სამეგრელო-ზემო სვანეთისა (სკოლების 19%) და კახეთის (სკოლების 13%) რეგიონებში, ხოლო სხვა რეგიონების სკოლები ვირტუალური ლაბორატორიის შესაძლებლობებით არ სარგებლობენ, ერთეული სკოლების გარდა, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება შესთავაზეს ([edu.aris.ge](http://edu.aris.ge)).



გრაფიკი #6. ლაბორატორია რეგიონების მიხედვით




# საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები

თბილისის მსგავსად, ლაბორატორიებით უზრუნველყოფა, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალია დიდი ქალაქების სკოლებში (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი). დიდი ქალაქების სკოლების 50 %-ს აქვს სასკოლო ლაბორატორია (გრაფიკი #7).

ბათუმში 27 სკოლიდან 26 სკოლაში არის ლაბორატორია. ამ მხრივ ცუდი ვითარებაა რუსთავში, სადაც 26-დან მხოლოდ 8 სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხოლო ქუთაისის 38 საჯარო სკოლიდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 38-ვე სკოლას მოეპოვება საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლებთან ინფორმაციის გადამოწმებით, 15 სკოლიდან 11 სკოლაში დადასტურდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არსებობა, ოთხმა სკოლამ განაცხადა, რომ არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 23-მა სკოლამ თავი შეიკავა ინფორმაციის დაზუსტებაზე.

გრაფიკი #7. დიდი ქალაქები (ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი)



- ქვეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია
- არ ქვეს ლაბორატორია
- დაუზუსტებელი




# კომპიუტერი, პრინტერი, ინტერნეტი

სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს კომპიუტერები, პრინტერი და ინტერნეტი. სკოლების 87% მიუთითებს, რომ აქვთ კომპიუტერები და პრინტერები;


სკოლების 90%-მდე მიუთითებს, რომ აქვთ ინტერნეტი, თუმცა გადამოწმებისას, პირადი კომუნიკაციისას სკოლების ნაწილი აღნიშნავს, რომ არსებული ინტერნეტი, დაბალი ხარისხის გამო, მხოლოდ ფორმალურად არის სკოლებში და რთულად გამოიყენება რეალურად სწავლებისა და მართვის პროცესში;

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებისა და მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებს კომპიუტერების, პრინტერების და ინტერნეტის არსებობაზე სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში, არის მუნიციპალიტეტები/რესურსცენტრები, რომლებიც მიუთითებენ ზოგიერთ სკოლაში ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე. კომპიუტერის, პრინტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემები იკვეთება ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, დმანისის, სიდნაღის, ჭიათურის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ზოგიერთ სკოლებში.

გრაფიკი #8. პრინტერი სკოლაში



გრაფიკი #9. კომპიუტერი სკოლაში



წყაროები

[HTTPS://WWW.BPN.GE/ARTICLE/60056-SKOLEBIS-INPRASTRUKTURULI-PROBLEMEBI-2023-CLISTVIS-SRULAD-UNDA-GADAICHRAS/](https://www.bpn.ge/article/60056-skolebis-inprastrukturuli-problemebi-2023-clistvis-srulad-unda-gadaichras/)

[HTTPS://1TV.GE/NEWS/MIKHEIL-CHKHENKELI-DAWYEBULIA-MILIARDI-LARIS-GHIREBULEBIS-PROEQTI-ROMELIC-800-SKOLIS-MSHENEbloba-REABILITACIAS-GULISKHMOBS/](https://1tv.ge/news/mikheil-chkhenkeli-dawyebulia-miliardi-laris-ghirebulebis-proeqti-romelic-800-skolis-mshenebloba-reabilitacias-guliskhmobs/)

[HTTPS://IMEDINEWS.GE/GE/SAZOGADOEBA/318419/GIORGI-AMILAKHVARI-2027-TSELS-DAGEGMILI-GVAQVS-800-SKOLIS-PROEQTIS-DASRULEBA-DA-AMIT-SAJARO-SKOLEBSHI-INPRASTRUQTURULI-PROBLEMEBIS-SABLOOD-GADACHRA](https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/318419/giorgi-amilakhvari-2027-tselis-dagegmili-gvaqvs-800-skolis-proeqtis-dasruleba-da-amit-sajaro-skolebshi-inprastrukturuli-problemebis-sablood-gadachra)

[HTTPS://EDU.ARIS.GE/NEWS/DJEDJELAVA-SKOLEBS-LABORATORIIS-KABINETEBIS-NACVLAD-VIRTUALUR-LABORATORIAS-STAVAZOBS.HTML](https://edu.aris.ge/news/djedjelava-skolebs-laboratoriis-kabinetebis-nacvlad-virtualur-laboratorias-stavazobs.html)



E A S T • W E S T  
M A N A G E M E N T  
I N S T I T U T E



ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით.

მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა

და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.

ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWTI-ს, USAID- ის ან/და

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო  
ინტეგრაციისა და  
ეროვნებათშორისი  
ურთიერთობების  
ცენტრი

[www.cciir.ge](http://www.cciir.ge)  
FB/CCIIR  
[cciir.info@gmail.com](mailto:cciir.info@gmail.com)